

**ნა- — -ევ და ნა- აფიქსებით სახელთა წარმოებასთან
დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი**

ქართულში საკმაოდ პროდუქტიულია სახელთა ფუძეებისაგან ახალი სახელების წარმოება **ნა- — -არ** და **ნა- — -ევ** პრეფიქს-სუფიქსებით. აფიქსთა ეს ორი წყვილი ერთისა და იმავე მნიშვნელობის ახალ ფუძეებს აწარმოებს. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ გარკვეული ფუძეებისაგან წარმოების შემთხვევაში შეიძლება ერთი წყვილი იყოს გამოყენებული, ფუძეთა სხვა წყებისაგან წარმოების შემთხვევაში კი — მეორე წყვილი. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა ერთისა და იმავე ფუძისაგან ახალი ფუძის საწარმოებლად ორივე წყვილი იხმარება და შედეგად ვიღებთ ორ ნაწარმოებ ფუძეს, რომლებიც მნიშვნელობით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

ასე მაგალითად, **ყანა-** ფუძისაგან **ნა-** პრეფიქსითა და **-ევ** სუფიქსით ნაწარმოებია ახალი **ნა-ყან-ევ-** ფუძე, ოღონდ ამავე **ყანა-** საგან **ნა- — -არ** აფიქსებით ახალი ფუძე არ იწარმოება: **ნა-ყან-არ-**ი არ მოგვებოვება; მაგრამ **ქალაქ-** ფუძისაგან **ნა- — -ევ** პრეფიქს-სუფიქსითაც იწარმოება ახალი ფუძე და **ნა- — -არ** პრეფიქს-სუფიქსითაც: გვაქვს **ნა-ქალაქ-არ-**იც და **ნა-ქალაქ-ევ-**იც. ამ უკანასკნელი ორი ფუძის მნიშვნელობა ერთგვარია, ეს ორი სიტყვა სინონიმებია.

ამის მსგავსად ენაში გვხვდება:

- სახლ-** ფუძისაგან ნაწარმოები **ნა-სახლ-ევ-**ი და **ნა-სახლ-არ-**ი,
- ყაჩაღ-** ფუძისაგან ნაწარმოები **ნა-ყაჩაღ-ევ-**ი და **ნა-ყაჩაღ-არ-**ი,
- ვენახ-** ფუძისაგან ნაწარმოები **ნა-ვენახ-ევ-**ი და **ნა-ვენახ-არ-**ი და ა. შ.

ნაწარმოებ ფუძეთა მნიშვნელობა საკმაოდ გამოკვეთილია; ისინი რაიმე სახის ყოფილობას უჩვენებენ: **ნა-ქალაქ-ევ-**ი ან **ნა-ქალაქ-არ-**ი ნიშნავს ადგილს, სადაც წინათ ქალაქი იყო; **ნა-ყაჩაღ-ევ-**ი ან **ნა-ყაჩაღ-არ-**ი — ადამიანს, რომელიც წინათ ყაჩაღი ყოფილა და ა. შ. არის მნიშვნელობათა სხვაგვარი ნიუანსები, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი, მხოლოდ ეს ფაქტი არსებითად არ ცვლის ვითარებას.

ასეთი ნაწარმოები სახელები წინა ვითარების სახელების სახელითაა ჩვენს საგრამატიკო ლიტერატურაში ცნობილი. სახელი შერქმე-

ულთა იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომელიც აქვს ამგვარად ნაწარმოებ ფუძეებს, და ეკუთვნის აკ. შანიძეს¹.

ნა- — ევ პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების წინა ვითარების სახელები დღევანდელ სალიტერატურო ქართულში მრავლად დასტურდება. ამათგან ზოგი საკმაოდ ძველია, ზოგიც შედარებით ახლადაა ნაწარმოები.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

ნალაგევი: ეკატერინე ხშირად იტყვის ხოლმე: — რძლის ფეხის ნალაგევს ავლოკავო (ლ. არღაზ.).

ნაბაკევი: ნაბაკევეში ყველაზე ადრე გავარდნილთა ცოლ-შვილი შევიდა (მ. ჭავჭავ.).

ნაბელადევი: ხელშეხვეულსა და პირაკრულ ნაბელადევს რამდენჯერმე რაღაცა ჰკითხეს (მ. ჭავჭავ.).

ნაგომურევი: აგერ იმ გორის უკან ღრმა ხევში ძველი ნაგომურევი (მ. ჭავჭავ.).

ნაზერევი: მზის ამოსვლამდე ნაზერევის მიდამოებში სამუშაოდ პირველი ვევიდა („კომუნისტი“).

ნაიარევი: ამ ნადირობის სამახსოვროდ ტოლსტოის სახეზე დარჩა ორი ნაიარევი („სოფლის ცხოვრება“).

ნაკაბევი: კაი კაცის ნაყანევი, კაი ქალის ნაკაბევიო (ანღაზ.).

ნაკვალევი: ჩემი... ხელის ნაკვალევი ემჩნეოდა (გ. ქავთ.).

ნამახვილევი: [მახარას] მარტო თავპირზე შვიდი ნამახვილევი ამჩნევია (მ. ჭავჭავ.).

ნამდინარევი: ეს ტაფობი ნამდინარევე ან ჩაქცეულ ადგილზე დაგროვილი წყლის შედეგი ხომ არ არის? („ნორჩი ლენინელი“).

ნამოსამსახურევი: მანუჩარმა სახლში გამიშვა და თავისი ნამოსამსახურევი ცოლად გამატანა (პ. კაკაბ.).

ნამოჯამაგირევი: ჩემი ნამოჯამაგირევის შვილს ოჯახში რომ რძლად არ დავიჯენდი, ამით მაინც ვერ მიხვდი?! (პ. კაკაბ.).

ნაპაუევი: სამხედრო ფორმით გამოწყობილი მასპინძელი ეკატერინე დიდის ნათლულია, ნაპაუევი (მ. ჭავჭავ.).

ნასახლევი: დეილუბა ოჯახი, ნასახლევათ გადაიქცა! (ე. ნინოშ.).

ნატაძრევი: ბევრია, ქართლო, შენს ძველს მიწაზე ნატაძრევი და ნასახლარები (გ. ლეონ.).

ნატუსაღევი: რად მიიბარა პანტიანში... ნატუსაღევი ყაჩაღევი? (ნია. მრევლ.).

ნაფარეშევი: — ახლა წავიდეთ, ჩვენს ტანჯულ ქალბატონს მისი ნაფარეშევი ბესიკი... ჩავებაროთ (ბანოვ.).

ნაფირალევი: იი ყაბახი ნაფირალევი (ე. ნინოშ.).

ნაქმარევი: თითქოს ჯუმბერი მისი ნაქმარევი ყოფილიყოს, სახელის გაგონებაც კი არ მოისურვა (ო. იოს.).

¹ აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 134.

² ამ ფორმას ზოგი დიალექტში დაცინვის, დამცირების ნიუანსიც აქვს. ასევეა, მაგ., ნაბარათევიც: წალი... ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათევი, ჩამომიტანე (ილია).

ნაყამირვევი: ნაყამირვევს უხემა მოსავალმა... დააღწო ზურგში ნასროლი
ეჭვი (მის. მრევლ.).

ნაყანევი: გუთანი უღვთოდ ფატრავდა ნაყანევ მიწას (ო. იოს.).

ნაყმევი: ჩვენი გაღია ეკაია... მამაჩემის ნაყმევის ქალი იყო (კ. გამს.).

ნაჭრილობევი: შუბლის არეში პატარა ნაჭრილობევი ახნია („კომუ-
ნისტ“).

ნახმლევი: აკოცებდა მუზარადს, სადაც ნახმლევი ეტყობა (ვაჟა)...

ნა- — -ვე პრედიქსულ-სუფიქსური წარმოების წინა ვითარების
სახელები ხშირადაა გაქვევებული სახით წარმოდგენილი მიცემით
ბრუნვაში. ასეთ შემთხვევაში ის ზმნისართადაა ქცეული და თითქმის
ყოველთვის დროის აღმნიშვნელია.

ნახალწლევი: ჯინიუხაშილი რამდენიმე კაცით ნახალწლევს დენის გა-
ლაღებას აწარმოებდა (ბ. ჩხ.).

ნადლეობევი: ნადლეობევს ცნობა მოვიდა ჩილდირთან ირანელთა სრული
დამარცხების შესახებ (ლ. გოთ.).

ნავახშმევი: ნავახშმევს დაანთებდენ წიფლის შემოთ კარგს ცეცხლს
(ე. ნინოშ.).

ნაკალანდევისაც კი მიირთუმენ თუ კი ვიშოვნიდენ!
(ე. ნინოშ.).

ნაკრებევი: ნაკრებევს ხალხი ერთმანეთს ხელს ართმევდა (ლ. ქიაჩ.).

ნალოცვევი: ნალოცვევს ბზრიალასავით დატრიალდენ უმცროსი რძლები
(ლ. გოთ.).

ნამაცადინევი: ხშირად ნამაცადინევს შემოუსხდებოდნენ ხოლმე მსმე-
ნელნი „ნალეკარსა და ნარუსალ“ ყმაწვილს (ლ. გოთ.).

ნამწუხრევი: დოდო ფეხით მიდიოდა ნამწუხრევს აბულ-ასანის აშენებუ-
ლი მონასტრიდან (შ. დად.).

ნაომევი: ნაომევს ისევ დაბრუნდა ნაზარალევი ხალხი (თ. სახ.).

ნართვლევი: თქვენ შეგიძლიათ ნართვლევს მოაწყით ექსკურსია საქარა-
ში („ლიტ. და ხელ.“).

ნასადილევი: ხალხი ნასადილევს დიშალა, წავიდ-წამოვიდა (აკაკი).

ნასამხრევი: ნასამხრევს დაიძრნენ ადგილიდან (ბ. ჩხ.).

ნასაუშმევი: ნასაუშმევს კვლავ არხს გაჰყვა („ლიტ. და ხელ.“).

ნასკოლევი: არ დაგვიწყდეს იცოდენ: ნასკოლევს უთუოდ ჩაის კრფაზე
გამოცხადდი (ლ. ქიაჩ.).

ნაშობევი: თავსელ გლეხებს ბეგარად ედვათ... ნაშობევს... თითო ბურვავი
გამოეტანათ სასახლეში (აკაკი).

ნაშუადლევი: ნაშუადლევს კოკისპირულად დაუშვა (კ. ლორთქ.).

ნაშუალამევი: ნაშუალამევს ხმაურობა რომ შესწყდა, თავები ამობრძან-
დნენ ზევით (აკაკი).

ნაწირვევი: ნაწირვევს ორი შიკრიკი გაგზავნა კათალიკოსმა (ლ. გოთ.)

და სხვა.

ნა- — -ვე აფიქსებიანი წინა ვითარების სახელები ძალიან ხშირად-
აა გამოყენებული ტოპონიმურად, მოგვყავს სათანადო მაგალითები:
ნაბაკევი (სოფელი სამტრედიის, ზნაურისა და გალის რაიონებში),

ნაბოსლვეი (ტყიბულის რაიონში), **ნადარბაზევი** (ხაშურის, გორისა და ჯავის რაიონებში), **ნავენახევი** (თერჯოლის რაიონში), **ნამონასტრევი** (ქედის რაიონში), **ნაქალაქევი** (ადიგენის რაიონში), **ნალორევი** (= **ნაღვარევი**, დუშეთის რაიონში)...

მიკროტოპონიმები და:

ნაბატკნევი — სათიბი (სოფ. დანდალო), **ნაბოსტნევი** — სახნავი (სოფ. მერისი), **ნაბუხრევი** — სახნავი (სოფ. გუნდაური), **ნაგუთნევი** — სახნავი (სოფ. დიდაჭარა), **ნადუქნევი** — სახნავი (სოფ. ერგე), **ნათუთუნევი** — სახნავი (სოფ. თბილვანა), **ნაიხვევი** — სახნავი (სოფ. თბილვანა), **ნაკანაფევი** — სახნავი (სოფ. მახუნცეთი), **ნაკიტრევი** — სახნავი, ტყე (სოფ. ცხემლარი), **ნატბევი** — სახნავი (სოფ. მერისი), **ნაფაცხევი** — სახნავი (სოფ. ერგე), **ნაფურნევი** — სახნავი (სოფ. ერგე), **ნაქარხნევი** — სახნავი (სოფ. გულები), **ნაწურბლევი** — ტბა (სოფ. უჩხითი), **ნაჭიშკრევი** — სახნავი, საძოვარი (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი) და ა. შ.³

თუმცა წინა ვითარების სახელთა დიდი უმრავლესობა ამ წესით არის ნაწარმოები, ზოგჯერ ხდება სუფიქსთა მონაცვლეობა და -ევ სუფიქსის ნაცვლად -ებ ბოლოსართი იჩენს თავს. მაგალითად:

ნაღვარევი: ყოველ წელიწადს ნაღვარევიებიდან მშვიერი უყრია ოჯახობა (დ. კლდ.).

ნაბატონები, **ნაყმები**: დამოუკიდებელი მემამულე არ შეიქმნება, სანამ ნაბატონებსა და ნაყმებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოიხსნება (ი. ანთ.).

ნაეკრანები: წინ კედელზე ეკრანი თუ ნაეკრანები კიღია („ახ. კომ.“).

ნაყანები: არსად სოფელი ან ნასოფლარი, არც ყანა, არც ნაყანები (კ. ლორთქ.).

ნაყვავილები: მისი ნაყვავილები სახე უფრო წამოინთო (დ. კლდ.).

ნაშემოდგომები: ახალი ნაშემოდგომები იყო (ნ. უდ.).

ნაცოლები: დაფუყენე ფარეშად ჩემი ნაცოლები (პ. კაკაბ.). — არქიზო ქვაშვაძის ნაცოლები... უშვილო... იყო? (დ. კლდ.).

ნაჭრილობები: ახლაც აჩნდა ვამებს გრძელი იისფერი ნაჭრილობები კისერზე (გ. გეგ.).

ნაჩაიებს: ნაჩაიებს მათი თანხლებით დედაჩემი და მე მივდიოდით ეკლესიაზე (დ. კლდ.).

ნაწირვებს: ნაწირვებს გულდამშვიდებული მიუჯდებოდენ სუფრას (ნ. ლორთქ.).

და სხვა.

-ებ და -ევ სუფიქსების მონაცვლეობა წინა ვითარების აღმნიშვნელ ტოპონიმოკურ სახელებშიც ხდება. მაგალითად:

³ მასალა მოგვყავს ი. სიხარულიძის წიგნიდან: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოკა“, I, 1958; II, 1959, ბათუმი.

ნავაზნევი — სათიბი, სახნავი (სოფ. ნიხაძირი) და **ნავაზნები** — სახნავი (სოფ. დარჩიძეები);

ნავენახევი — სათიბი (სოფ. ღუძაძეები) და **ნავენახები** — სათიბი (სოფ. გუდასახო);

ნალობიევი — სათიბი (სოფ. ტაკიძეები) და **ნალობიები** — სახნავი (სოფ. დარჩიძეები);

ნასაყდრევი — სახნავი (სოფ. სალორეთი) და **ნასაყდრები** — ბუჩქნარი (სოფ. ქაქუთი);

ნაწიხვილევი — ბუჩქნარი (სოფ. ვაიო) და **ნაწიხვილები** — სახნავი (სოფ. შუბანი)⁴ და სხვა.

მეორე მხრივ, **ნა-** პრეფიქსი ქართულში გამოყენებულია ზმნათა ფუძეებისაგან მიმღეობების საწარმოებლად. ოდენ **ნა-** პრეფიქსით იწარმოება ნამყო ღროის ვნებითი გვარის მიმღეობა.

როგორც ცნობილია, მიმღეობის წარმოებისას ჩვეულებრივ ამოსავლად აწმყოს ფუძეა გამოყენებული, ამასთან, მოქმედებითი გვარის ზმნისა. ეს აწმყოს ფუძე უმეტეს შემთხვევაში შეიცავს ე. წ. აწმყოს ფუძის საწარმოებელ **-ავ**, **-ამ**, **-ევ**, **-ემ**, **-ებ**, **-ობ**, **-ოფ** სუფიქსებს. რამდენადაც ეს სუფიქსები მიმღეობის საწარმოებელი ამოსავალი ფუძის შემადგენელი ნაწილია, ისინი მიმღეობაშიც გადავლენ და მიმღეობის ფუძის კუთვნილება ხდებათ. ამიტომაც, რომ გვაქვს მიმღეობები:

-ავ სუფიქსიანი ზმნებისაგან: **მალავ-ს** — **ნა-მალავ-ი**, **რგავ-ს** — **ნა-რგავ-ი**, **ფქვავ-ს** — **ნა-ფქვავ-ი**, **ხნავ-ს** — **ნა-ხნავ-ი** და ასე შემდეგ: **მი-ნა-ჩქმალავ-ი**, **მო-ნა-რწყავ-ი**, **გა-ნა-ძარცვავ-ი**, **და-ნა-კლავ-ი**, **შე-ნა-თხზავ-ი**, **ჩა-ნა-მარხავ-ი** და სხვ.

-ამ სუფიქსიანი ზმნებისაგან: **ა-ბამ-ს** — **ნა-ბამ-ი**, **სვამ-ს** — **ნა-სვამ-ი**; **ნა-დგამ-ი**, **ნა-რტყამ-ი**, **ნა-ცვამ-ი...** და **ნა-დგამ-ი**, **ჩა-ნა-ნთქამ-ი** და ა. შ.

-ევ სუფიქსიანთაგან: **ა-თრევ-ს** — **ნა-თრევ-ი**, **ა-მსხვრევ-ს** — **ნა-მსხვრევ-ი**; **ნა-რღვევ-ი**, **ნა-რწევ-ი**, **ნა-ფრქვევ-ი**, **ნა-ხვევ-ი...** **მი-ნა-რთმევ-ი**, **მო-ნა-ქნევ-ი**, **ა-ნა-რჩევ-ი**, **გა-ნა-რღვევ-ი**, **და-ნა-ლევ-ი**, **შე-ნა-ძლევ-ი**, **ჩა-ნა-ხევ-ი**, **წა-ნა-რთმევ-ი...**

-ემ სუფიქსიანთაგან: **ს-ცემ-ს** — **ნა-ცემ-ი...** **მი-ს-ცემ-ს** — **მი-ნა-ცემ-ი**; **გა-ნა-ცემ-ი**, **და-ნა-ცემ-ი...**

-ებ სუფიქსიანთაგან: **ა-კეთებ-ს** — **ნა-კეთებ-ი**; **ნა-გროვებ-ი**, **ნა-სუქებ-ი**, **ნა-შენებ-ი**, **ნა-ჩვენებ-ი**, **ნა-ხსენებ-ი...** **მი-ნა-გნებ-ი**, **მო-ნა-**

4 მასალა ამოღებულია ი. სიხარულიძის დასახელებული წიგნიდან.

გებ-ი, ა-ნა-გებ-ი, გა-ნა-ტაცებ-ი, და-ნა-ბარებ-ი („მამიდის დანაბარებ-ი“. — ვაჟა), შე-ნა-ღებ-ი, ჩა-ნა-გღებ-ი, წა-ნა-ღებ-ი...

-ოზ სუფიქსიანთაგან: ამზობ-ს — ნა-ამზობ-ი, გმობ-ს — ნა-გმობ-ი; ნა-მკობ-ი, ნა-პობ-ი, ნა-შობ-ი, ნა-წრობ-ი... მო-ნა-სპობ-ი, ა-ნა-პყრობ-ი, და-ნა-თმობ-ი, გა-ნა-თბობ-ი, შე-ნა-ღნობ-ი, ჩა-ნა-ქრობ-ი, წა-ნა-ძრობ-ი...

-ოფ სუფიქსიანი: ყოფ-ს — გა-ნა-ყოფ-ი; და-ნა-ყოფ-ი...

ამგვარად, ერთი მხრით, გვაქვს სახელთა ფუძეებისაგან ნა- პრეფიქსითა და -ევ სუფიქსით ნაწარმოები წინა ვითარების სახელები, ხოლო, მეორე მხრით, ზმნებისაგან ოდენ ნა- პრეფიქსით ნაწარმოები ვნებითი გვარის მიმღეობები ნამყო დროისა.

მაგრამ მიმღეობებში, როგორც ვნახეთ, სხვათა გვერდით, აწმყოს ფუძის საწარმოებელი -ევ სუფიქსიც ჩანს. ამდენად, ეს უკანასკნელი ფორმები გარეგნულად ემთხვევა წინა ვითარების სახელების ფორმას, მაგრამ ეს დამთხვევა მხოლოდ მოჩვენებითია: ნა- — -ევ აფიქსებიანი წინა ვითარების სახელები და -ევ სუფიქსიან ზმნათაგან ნა- პრეფიქსით ნაწარმოები ნამყოს მიმღეობა არასოდეს არ ქმნიან პარალელურ ფორმებს, რომელთა აღრევა შესაძლებელი იქნებოდა მართლწერის თვალსაზრისით.

არც ის შემთხვევები ქმნიან წინა ვითარების სახელებთან აღრევის საშიშროებას, როდესაც მიმღეობაში -ევ სუფიქსი წარმოჩნდება -ავ სუფიქსის გვერდით. როგორც ცნობილია, პარავ-ს ზმნისაგან გვაქვს მიმღეობები ნაპარავ-იც და ნაპარევ-იც, მაღავ-ს ზმნისგან — ნამაღავ-იც და ნამაღევ-იც, (გა)თვალავ-ს ზმნისაგან — (გა)ნათვალავ-იც და (გა)ნათვალევ-იც და ა. შ. ასეთ და მსგავს შემთხვევებში ფორმათა აღრევის საშიშროება და პარალელურ ფორმათა წარმოშობა მოსალოდნელი არაა.

მაგრამ მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთი დიდი ჯგუფი; როგორც ცნობილია, აწმყოს ფუძეს -ებ სუფიქსით აწარმოებს და ამ ზმნათაგან იწარმოება ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობები. აი სწორედ ამგვარ მიმღეობათა აღრევა ხდება ნა- — -ევ აფიქსებით ნაწარმოებ წინა ვითარების სახელებთან, ამ შემთხვევაში ჩნდება პარალელური ფორმები. ამ პარალელურ ფორმათა წარმოშობის საფუძველი ისაა, რომ -ებ სუფიქსიანი ზმნებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებში ბოლოკიდური -ებ -ევ სუფიქსით იცვლება.

ასე მაგალითად, ერთი მხრით გვაქვს მიმღეობები: ნაკარნახები, ნაპატრონები, ნალალატები და ა. შ., მაგრამ მათ გვერდით გვხვდება -ევ-იანი ფორმები: ნაკარნახევი, ნაპატრონევი, ნალალატევი და ა. შ. სათანადო მაგალითები ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

ზემოთ მოყვანილი იყო შემთხვევები იმისა, რომ წინა ვითარების სახელებში -ევ სუფიქსის ნაცვლად -ებ ბოლოსართი იჩენს თავს (ნაბატონები, ნაყვავილები, ნაცოლები, ნაწირვებს და სხვ.) და ასე იქმნება პარალელური ფორმები; ახლა, პირუკუ, მიმღეობის ფორმებში -ებ-ის ნაცვლად -ევ სუფიქსი ჩნდება და ესაა პარალელურ ფორმათა წარმოშობის წყარო.

კითხვა ისმის: ყველა -ებ სუფიქსიან მოქმედებითი გვარის ზმნათაგან ნაწარმოებ მიმღეობებში ჩნდება -ევ სუფიქსი, თუ მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნებში ხდება ამ ტენდენციის გამომჟღავნება?

სათანადო მასალის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ, თუ მიმღეობა ნაწარმოებია ისეთი -ებ სუფიქსიანი ზმნის ფუძისაგან, რომელსაც დრო-კილოთა სამსავე წყებაში ნაკვთთა ჩვეულებრივი ფორმები ახასიათებს, კერძოდ, აწმყო და მყოფადი ერთსა და იმავე ფუძეზე აქვს დაყრდნობილი, ასეთ მიმღეობას პარალელური -ევ სუფიქსიანი ფორმა არ უჩნდება. ამგვარ მიმღეობებში ფუძის -ებ დაბოლოების -ევ დაბოლოებით შენაცვლების საკითხი თითქმის არასოდეს დგას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

- აბარებს — ნაბარები: ალუღს მოუღის ამბავი, მამიღის ნაბარებია (ვაჟა).
 აბრუნებს — ნაბრუნები: 296 გვერდზე სანიმუშოდ ნაბრუნებია „ქალაქ ქართლისა“ („სახ. გან.“).
 აგებს — ნაგები: ეზოს სიღრმეში დგას ორსართულიანი აგურით ნაგები დიდი სახლი („ლიტ. და ხელ.“).
 აგროვებს — ნაგროვები: სთხოვა... ესარგებლა... მის ჩამომავლათაგან გულმოდგინედ ნაგროვები ბიბლიოთეკით (ბ. ჩხ.).
 აკეთებს — ნაკეთები: ძლივს ერთი კაცი არა ვნახე ამ სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები! (ილია).
 ანთებს — ნანთები: მამ, გამიგონე, ასოთამწყობო, ამიწყვე ლექსი ცეცხლად ნანთები (შ. ნიშნ.).
 არგუნებს — ნარგუნები: ჩვენს სკოლებში ქართულს ენს ბევრად ნაკლები გაკვეთილები აქვს ნარგუნები (ი. გოგებ.).
 ასავსავებს — ნასავსავები: წინამძღვარს დილის ლოცვით ნასავსავები ენა დაესვენებია (ბანოვ.).
 ატარებს — ნატარები: ფართლად გულში ნატარები დიდი სიყვარული უბასუხოდ დატოვებული ეჩვენებოდა (ლ. ჭიაჩ.).
 აუწყებს — ნაუწყები: დავითს უსიამო ჟრჟოლა მოჰგვარა მორკნეველის ნაუწყებში (კ. ვაშ.).
 იფეთქებს — ნაფეთქები: ასე მძლავრად ნაფეთქები ტალკვესის ცეცხლი განა შეიძლება თავის მიზანს ასცდეს? (ბანოვ.).
 აქებს — ნაქები: დაღნა ნაქები ცხერის ფარა და დაცარიელდა ქვევრები (მიხ. მრევლ.).
 აშენებს — ნაშენები: თამარაშვილის სახლი მეგრივად იყო ნაშენები (მ. ჯავახ.).

აჩვენებს — ნაჩვენები: გიგოლას მიერ ნაჩვენებ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ (მ. ჭავჭავაძე).

სცხებს — ნაცხები: ცამ გადბანა პირიდან მური, ნაცხები ღრუბლისა (ვაჟა).

აწარმოებს — ნაწარმოები: ვაჭრობის ცილობამ ევროპაში საფრანგეთი აიძულათავისის ნაწარმოებ საქონლის გასასაღებლად შორს ქვეყნებში კოლონიები დაეჭირა (ილია).

აწებს — ნაწები: უჩვენე შენი კალამი, ნაწები სისხლის გუბეში (ვაჟა).

ასხენებს — ნახსენები: ჩემი გვარი არ იყო ნახსენები (დ. კლდ.).

დებს — ნადები: ქარმა მთებში ნადები თოვლის სუსხი ჩამოიტანა (თ. გოგოლი).
იტაცებს — ნატაცები: [უშიშამ] მირეკა ნატაცები [საქონელი] მანგიურის კარს (ბანოვ.).

კრებს — ნაკრები: ახალი სახლის ვეებერთელა ქვაბულში დააგეს ნაკრები საძირკვლის ბეტონის პირველი ბლოკები („კომუნისტი“).

და ასე:

ანიშნებს — ნანიშნები,

აციებს — ნაციები,

აბეჩავენებს — ნაბეჩავენები,

აგინებს — ნაგინები,

აგირავენებს — ნაგირავენები,

ამზადებს — ნამზადები,

არწმუნებს — ნარწმუნები,

აქეზებს — ნაქეზები და სხვა.

გამონაკლისია რამდენიმე ნასახელარი ზმნა, რომლებშიც -ებ და-ბოლოების პარალელურად ანალოგიით ზოგჯერ -ევ-იც იჩენს თავს:

აპატიებს — ნაპატიები // ნაპატიევი:

კალუგაში დაპყო თბიხი წელიწადი და მარტო 1837 წელს ნაპატიევი და შენდობილი დაბრუნდა თავის ქვეყანაში (ილია).

ყველაფერს გააპატიებ, დ...დღაავივიწყებ. მე უკვე ნაპატიევი და დავიწყებული მაქვს (მ. ჭავჭავაძე).

ასამართლებს — ნასამართლები // ნასამართლვეი:

სავაჭრო ორგანიზაციებში გვხვდებიან არაწესიერი, ნასამართლები პირები („კომუნისტი“).

ზმირად ისინი აიძულდნენ კოლმეურნობათა ხელმძღვანელებად აერჩიათ საეპკო და ნასამართლვეი პირები („კომუნისტი“).

აქანდაკებს — ნაქანდაკები // ნაქანდაკევი:

ნაქანდაკები შეხედულებით, ... გველივით მახვილგონიერი არ გვგავდენ ჩვენ, ლოკოკინასავით მოლოდიანე ხალხს (ნ. ლორთქი).

რატომ აქამდე არ შეუმჩნევეა, რომ ასეთი ნაქანდაკევი სწორი ცხვირი ჰქონდა? (რ. იანა).

აყალბებს — ნაყალბები // ნაყალბევი:

... ცნობა თავიდან ბოლომდე ნაყალბევი („კომუნისტი“).

აშალაშინებს — ნაშალაშინები // ნაშალაშინევი:

ნათხეკები ნაშალაშინევი ბურბუმელასავით ჰკილია (რ. ერისთ.).

აჩუქურთმებს — ნაჩუქურთმები // ნაჩუქურთმევი:

ვაქცავთ და ლამაზი ოცის თუ ოცდაორისა, ... ტანი: ალვის ხის ტანია, ნაჩუქურთმევი ბროლითა (ა. თევზ.)...

თითქმის ყოველთვის -ებ თემისნიშნიაანია აგრეთვე პრევერბიანი მიმღეობებიც, როგორიცაა:

ანაგები: ახლად ანაგებ სასახლის ბჭესთან გაფიზრებული ფარნა დგას ქასრით (გ. ლეონ.).

ანატირები: მიარჩება წყლული გულისა, ვყუჩდები ანატირები (ვაჟა).

განამწარები: იმედის ვარსკვლავს მოვეუღვენ ლოდინით განამწარებსა (ი. აბაშ.).

განაოცები: სული ვედრებით განაოცები შენს ფერხთ ქვეშ კვდება როგორც პებელი (გ. ტაბ.).

დანამზადები: მოუტანია მზადები, მაწონი, ორი დედალი, მუშისთვის დანამზადები (რ. ერისთ.).

დანაწუნები: თურმე... სამჯელ დანაწუნები ყოფილა საქმროსაგან (ე. ნინოშ.).

მინაგნები: ეს არის ავტორის ბედნიერი მინაგნები („ცისკარი“).

მონაგები: ფაშატი ჩემია, მონაგებიც ჩემი იქნება („ახ. კომ.“).

მონატაცები: შენ ხომ ორჯერ ხარ მონატაცები (უიარაღო).

შენაჩვენები: ერთად ერთია ჩემი სურვილი — იზიდას მოვხსნა პირსაბურველი, დაეტებ საშინელ მისი მშვენებით და შემდეგ გავქრე შენაჩვენები (ვ. გაფრ.).

შენაჭიდები: ხე, რქებით გრიგალს შენაჭიდები, დგას, ირმის ყელი მოუღერია (ა. მირცხ.).

ჩანაგები: ბუ გაბერილი ფრჩხალებსა აძრობს, გულ-მკერდში ჩანაგებს (ს. შანშ.).

ჩანადები: ხელში ნაზიმეს ბიძის მიერ ჩანადები მიიმე რაღაც ეჭირა (მ. ჯავახ.).

წანაგები: [გიორგიმ] კიდეც ვერ დაჟვარა წანაგები (ი. გიდევი).

ასევეა: ანატოკები... განატაცები, განაცხელები, განაწვალები... დანაგდები, დანაგორები, დანაპირები, დანატოვები, დანაღონები... მონაკლები, მონაპოვები, მონაწყურები, მონახსენები... შენაგდები, შენაწავები, შენაციები, შენაჯამები... ჩანაბიჯები, ჩანასწორები... წანადები... გადანაგდები, გადანადები და სხვა მრავალი.

მეტად იშვიათია ისეთი მაგალითები, როგორიცაა: „გლეხებმა მალე გაიგეს თეიმურაზის უვარგისობა, და იმის დანარიგევს რომ ერთ ყურში შეიშვებდნენ, — უმალვე მეორე ყურიდან გაიფრენდნენ“ (მ. ჯავახ.).

ნა- თავსართიან ნამყოს მიმღეობებს -ებ დაბოლოებით არაიშვიათად ტოპონიმიკაშიც ვხვდებით. ამ რიგისაა, მაგალითად:

ნაოხრები — სოფლის სახელი ახალციხის რაიონში, ნაშენები — სახნავის სახელწოდება სოფელ კობალაურში (აჭარა) და სხვა.

პარალელური -ებ // -ევ სუფიქსებიანი ფორმები მოეპოვება:

1. ძირითადად, **ივარჯიშებს**, **უკარნახებს** ტიპის, უპირატესად ნა-სახელარ ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებს;

2. ამავე ზმნების ნეიტრალური ქცევის ფორმებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებსა და

3. ზოგ ორ- ან სამპირიან ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებს.

როგორც ვიცით, **ივარჯიშებს**, **უკარნახებს** ზმნები დღევანდელ ქართულში მყოფადის გაგებას შეიცავენ. ერთი სასუბიექტო ქცევის ფორმაა, ხოლო მეორე — საობიექტოსი. ეს ის ზმნებია, რომლებიც დანაკლის ფორმებს უვსებენ პირველნი — ერთპირიან **ვარჯიშობს** ტიპის სტატიკურ ზმნას, ხოლო მეორენი — ორპირიან **ჰკარნახობს** ტიპის სტატიკურსავე ზმნას, რომელთაც საკუთარი წარმოების მხოლოდ აწმყოს, ნამყო უსრულისა და კავშირებითი I ფორმები მოეპოვებათ. **ივარჯიშებს**, **უკარნახებს** ზმნების ფორმებით ივსებენ ეს უკანასკნელები დრო-კილოთა I წყების მყოფადის წრისა და დრო-კილოთა II და III წყების ფორმებს. ამასთან, **ივარჯიშებს**, **უკარნახებს** ტიპის ზმნები დრო-კილოთა აწმყოს წრეში ჩვეულებრივ არც იხმარებიან, ხოლო, როცა ფორმების შემგსებად გვევლინებიან, ერთი პირით ნაკლების გაგებას იძლევიან — ბრუნვაცვალებადი ობიექტი ეკარგებათ.

ნეიტრალური ქცევის ფორმებში სასუბიექტო ქცევის ო- პრეფიქსის ადგილს ა- იჭერს. ეს ფორმები ჩვეულებრივი აწმყოს გაგებას შეიცავენ და სტატიკური ზმნების აწმყოს ფორმებთან კავშირი აღარ აქვთ.

ეს ზმნები ყველა -ებ სუფიქსიანებია და ნამყო დროის მიმღეობა ვნებითი გვარისა მათგან იწარმოება: **ივარჯიშებს** — ნა-ვარჯიშებ-ი, **უკარნახებს** — ნა-კარნახებ-ი, აშიმშილებს — ნა-შიმშილებ-ი...

აი აქ, ამ შემთხვევაში ხდება პარალელურ ფორმათა გაჩენა წინა ვითარების სახელთა მიმსგავსებით -ებ დაბოლოების -ევ დაბოლოებით შეცვლის შედეგად. ჩვეულებრივი და მოსალოდნელი **ნავარჯიშები**-ს გვერდით გვაქვს -ევ დაბოლოებიანი ფორმა **ნავარჯიშევი**, ხოლო **ნაკარნახები**-ს გვერდით — **ნაკარნახევი**. ზოგჯერ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამ უკანასკნელ ფორმათაგან ზოგი უფრო გავრცელებულიცაა.

მოგვყავს სათანადო მაგალითები:

ნანგარიშები // ნანგარიშევი — ზმნისაგან **იანგარაშებს**:

ნ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი ა, რომ თითოეულ ჩამოვდებულ თვითმფრინავზე იხარჯებოდა დაახლოებით 5000 საზენიტო ყუმბარა („ახ. კომ.“).

ამ თანხაშიც ნ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ვ ი არ არის დიდთანხიანი მოგებანი („კომუნისტ“).

ნავიანები // ნავიანევი — ზმნისგან იგვიანებს ან ავიანებს:

მთელმარე სალდათები დაფეთდნენ, გაევიძინენ და ნავიანები „ჩესტი“ მისცეს (მ. ჯავახ.).

ზურიას ოჯახი ნავიანევე ვახშამს შემოსხდომოდა (მიხ. შრევლ.).

ნავალდებულები // ნავალდებულევი — ზმნისგან ივალდებულებს ან ავალდებულებს:

ბრიგადის წევრებს თვითიულ ჰექტარზე 35 ცენტნერი სიმინდის მოყვანა აქვთ ნავალდებულები („გამარჯ.“).

[სამუშაოების] შესრულება სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იყო ნავალდებულევი („გამარჯვების გზით“).

ნავარგები // ნავარგევი — ზმნისგან ივარგებს:

გავუშვათ გაზეთში ნავარგებ კომბოსტოებთან გადაღებული სესეს სურათი (ბ. ჩხ.).

[კომბოსტო] მართლა ნავარგევი იყო (ბ. ჩხ.).

ნავარჯიშები // ნავარჯიშევი — ზმნისგან ივარჯიშებს ან ავარჯიშებს:

იმ პირებს, რომლებიც უკვე ნავარჯიშები არიან, შეუძლიათ ჰაერის აბაზანა უფრო დაბალი ტემპერატურის დროსაც მიიღონ („ლელო“).

ზოგიერთი მათგანი ნავარჯიშევი არ არის („ლელო“).

ნათათბირები // ნათათბირევი — ზმნისგან ითათბირებს:

გააშინჯეს იმასაც ნათათბირები და იმანაც ასე ბრძანა (აკაკი).

ეგ უსარგებლო საზარალო ნათათბირევია (ბ. ჩხ.).

ნათამაშები // ნათამაშევი — ზმნისგან ითამაშებს ან ათამაშებს:

ყოველი ნათამაშები ამ ფიცარზე აღინიშნება ხოლმე („ლელო“).

არის შემთხვევები, როცა სუსტად ნათამაშევე შეხვედრას შეუძლია უკეთესი შედეგი მოიტანოს („ლელო“).

ნალაპარაკები // ნალაპარაკევი — ზმნისგან ილაპარაკებს ან ალაპარაკებს:

ჩვენ, რასაკვირველია, ყოველს მის ნალაპარაკებს სიტყვის შებრუნებას ვერ გაუბედავთ (ილია).

ეტყობოდა, მან გაიგონა რძლის ნალაპარაკევი იმ ღამეს (დ. კლდ.).

ნანადირები // ნანადირევი — ზმნისგან ინადირებს:

მოსთრავდა თავის ბინისკე ნადავლი, ნანადირები (ვაჟა).

[ონისეს]... ურიცხვი ნანადირევი ჩამოჰქონდა (ა. ყაზბ.).

ნასაუშმები // ნასაუშმევი — ზმნისგან ისაუშმებს ან ასაუშმებს:

სასახლის დიდ ეზოში ახალი ნასაუშმები მთავარი და საპატიონი... ყაბახს ესროდნენ (ბანოვ.).

სახლიდან წინა დღით ნაყიდი პურით ნასაუშმევი ან უსაუშმოუნდა წახვიდეთ სამსახურში („გამარჯ.“).

ნაქორწილები // ნაქორწილევი — ზმნისგან იქორწილებს ან აქორწილებს:

დედამ დალოცა შვილი და რძალი, როგორც ხელახლა ნაქორწილები (გ. აბაშ.).

მეფე-დედოფლის საძილო ოთახი... თვენახევარს ელოდა ახლად ნაქორწილევით (შ. არაგვ.).

ნაჩქარები // ნაჩქარევი — ზმნისგან იჩქარებს ან აჩქარებს:

აქ შენი დენა ქაფიანი და ნაჩქარები... ამწვანებული დაღმართებით მიექანება (კ. ჭიჭ.).

მათი მითითებანი ნაჩქარევი ხასიათისაა („სახ. გან.“).

ნაწვალები // ნაწვალევი — ზმნისგან იწვალებს ან აწვალებს:

სვიმონმა შეხედა მათს ტანჯულსა და ნაწვალებს სახეს (ა. ყაზბ.).

დიდი ხნის ნათრევი და ნაწვალევი სხეული მოსდუნებოდა (მიხ. მრევლ.).

ნაწინასწარმეტყველები // ნაწინასწარმეტყველევი — ზმნისგან

ი / უწინასწარმეტყველებს:

დედისაგან მაქვს, ბატონო, ნაწინასწარმეტყველები (ნ. ლორთქ.).

დაზავება... გარდაუვალს გახდის საქმიანი აქტივობის ნაწინასწარმეტყველებს დაეცემა? („კომუნისტი“).

ნაჯახირები // ნაჯახირევი — ზმნისგან იჯახირებს ან აჯახირებს:

მთ მიერ ნავოწიწები და ნაჯახირები და სინ მანის „არმია“ დაიშალა („კომუნისტი“).

ხელში შეგვრჩება... ნაჯახირევი და ლექსიკურად გაღარბებული ენა („ლიტ. და ხელ.“).

ნაალერსები // ნაალერსევი — ზმნისგან უალერსებს:

გიორგის ნაალერსები იყო ეგ გოგო (მიხ. მრევლ.).

მის წინ გადაშლილა სიყრმიდანვე ნაცნობი და ნაალერსევი გარემოხელი (ლ. გოთ.).

ნაანდერძები // ნაანდერძევი — ზმნისგან უანდერძებს:

თაყვანს ესცემ შენსა ნაანდერძებს წინასწარად თქმულს (ნ. ბარათ.).

უნდა შევიწარჩუნოთ, არ დავკარგოთ მამა-პაპის ნაანდერძევი წესი და ჩვეულება (ვაჟა).

ნაკარნახები // ნაკარნახევი — ზმნისგან უკარნახებს:

ჭეშმარიტს იტყვი, კარგ გულსიგან ნაკარნახებსა (გ. ბარნ.).

ჩამოთხოვილი ფულით დაზღვეული, მისი ნაკარნახევი, სხვისი დაწერილი ბარათი გაგზავნა (ნ. ლორთქ.).

ნაპატრონები // ნაპატრონევი — ზმნისგან უპატრონებს:

კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები (ილია).

ნალალატები // ნალალატევი — ზმნისგან ულალატებს:

ყველა მოვლილ-ნაპატრონევი, ბატონო! (ბანოვ.).

დევეთაგან ნალალატები წიწილა დაღის მტირალი (ვაჟა).

ლალატის ამბავი ხელისუფლებამ ნალალატევე ქმარსავით სხვებზე გვიან გაიგო (მ. ჭავჭავ.).

ნაწილადები // ნაწილადევი — ზმნისგან უწილადებს:

ახლა წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც სამშობლო ენას... ნაწილადები აქვს მცირე დრო (ი. გოგებ.).

არც ერთი გაცვეთილი არ არის ნაწილადევი ქართულის ენისათვის (ი. გოგებ.).

ნაწყალობები // ნაწყალობევი — ზმნისგან უწყალობებს:

რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა პრწყავს (ილია).

მსაჯის ნაწყალობევი მოგება რად მინდა („ახ. კომ.“)...

ასევე:

ნაალაფები // ნაალაფევი — ზმნისგან იალაფებს:

შემოდის რამდენიმე რომაელი და თან ნაალაფევი მოაქვთ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

ნავალოები // ნავალოები — ზმნისგან ი/უვალოებს:

მაგ უკაცრიელ საფარიდან მომაწვდინე შენი სიმღერა, წყვილიდიდან უსასრულოდ ნავალოები (თ. ჩხენკ. თარგმ.).

ნაგემები // ნაგემები — ზმნისგან იგემებს ან აგემებს:

ბევრი მაგალითია იმისი, რომ მკვიდრი, ამ დავგვიანების მსახველი და ნაგემები... ემორჩილება თავისს უბედურებას (ილია).

ნაგულისხმები // ნაგულისხმები — ზმნისგან იგულისხმებს:

რამდენიმე მისიონერიც კი არის ნაგულისხმები (ივ. ჭავჭავაძე).

ნაეშმაკები // ნაეშმაკები — ზმნისგან იეშმაკებს ან აეშმაკებს:

თვალთ ნამეშმაკები არს ნაეშმაკები გონება დვთისა (დ. გურამი).

ნავალები // ნავალები — ზმნისგან ივალებს:

დილას მიქელამ ნავალები ფულით... უნიშნო მოზვერი იყადა (რ. ვატი).

ნავარაუდები // ნავარაუდები — ზმნისგან ივარაუდებს:

ნავარაუდები ამინდი ხელს შეუწყობს საძოვარი მცენარეულის წამოზრდას („სოფლის ცხოვრება“).

ნავახშები // ნავახშები — ზმნისგან ივახშებს ან ავახშებს:

— ნუ სწუხებები, ნავახშები ვარ (ლ. ქიაჩი).

ნაზარალები // ნაზარალები — ზმნისგან იზარალებს ან აზარალებს:

ნაოშვეს ისევ დაბრუნდა ნაზარალები ხალხი (თ. სან.).

ნათაკილები // ნათაკილები — ზმნისგან ითაკილებს:

არ იყო, რომ ცოტა ნათაკილებსავით არ მითხრა (ილია).

ნათვალთვალები // ნათვალთვალები — ზმნისგან ითვალთვალებს:

ღმერთმა მოგახმაროს ჩემი ნათვალთვალები და მოვლილი სათევზო ადგილები (ნ. ლორთქი).

ნაკამათები // ნაკამათები — ზმნისგან იკამათებს:

მუთაქაზე თავმადებულს მოავთონდა გუშინდამ სტუმრებთან ნალაპარაკები და ნაკამათები (ბ. ჩხ.).

ნალაყები // ნალაყები — ზმნისგან ილაყებს ან ალაყებს:

მოხსენების ავტორმა მთელ თავის წინანდელ ნალაყებს გადააქარბა („კომუნისტი“).

ნალაშქრები // ნალაშქრები — ზმნისგან ილაშქრებს ან ალაშქრებს:

ხეობელებმა... ზევით გასწიეს, ისე მიდიოდნენ, თითქო ნალაშქრები ყოფილიყვნენ (მ. ჭავჭავაძე).

ნალოგინები // ნალოგინები — ზმნისგან ილოგინებს ან ალოგინებს:

ცოლი გოდრის ასაწვევთაც არ მოინმარა: მოერიდა ახალ ნალოგინებს (ნ. ლორთქი).

ნამარხულები // ნამარხულები — ზმნისგან იმარხულებს ან ამარხულებს:

ნამარხულები ხალხი დააძლებოდა ღორის ხორცს (დ. შენგ.).

ნამკურნალები // ნამკურნალები — ზმნისგან იმკურნალებს:

სტრებტომიცინით ნამკურნალები ფუტკრის ოჯახის უნერგია მნიშვნელოვნად დიდდება („კომუნისტი“).

ნაპურმარილები // ნაპურმარილები — ზმნისგან იპურმარილებს ან აპურმარილებს:

მათ შორის უხვად ჰყავთ ახლო მეგობრები და ძველისძველი ნაპურმარილები ნაცნობები (ბ. ჩხ.).

ნასადილები // ნასადილები — ზმნისგან ისადილებს ან ასადილებს:

— ნადირ, თქვენ ნასადილები ხართ? — მიმართა მარცხმა ძმას (მ. არაგვი).

ნასარგებლები // ნასარგებლელი — ზმნისგან ისარგებლებს ან ასარგებლენს: რატომ არ აღნიშნავს [ავტორი] ნასარგებლელი წყაროს გამოცემის აღვილს, წელს და გვერდს? (სკოლმუნიხტი“).

ნასიმშილები // ნასიმშილელი — ზმნისგან ისიმშილებს ან ასიმშილებს: ნასიმშილელი კუპზე ღორის ქონი და ფქვილს ღომი გულს ასუყებდა (დ. შენგ.).

ნაფუსფუსები // ნაფუსფუსელი — ზმნისგან იფუსფუსებს ან აფუსფუსებს: დღის ნაქეიფარ-ნაფუსფუსელი სასახლის ხალხი ძილის მყუდროებას მისცემოდა (ბანოვ.).

ნაჩურჩულები // ნაჩურჩულელი — ზმნისგან იჩურჩულებს: უხვი პოლიტიკური ნაჩურჩულელი აპკიდა და საქართველოში გამოისტუმრა (მ. ჭავახ.).

ნაცოდვილები // ნაცოდვილელი — ზმნისგან იცოდვილებს ან აცოდვილებს: რამდენიმეჯერ ჩემი ნაცოდვილელი დაიბეჭდა (ჭ. ლომთ.).

ნაძალადები // ნაძალადელი — ზმნისგან იძალადებს:

განა სიყვარული ნაძალადელი შეიძლება? (ეკ. გაბ.)...

ასევეა:

ნავადმყოფები // ნავადმყოფელი — ზმნისგან ივადმყოფებს ან ავადმყოფებს.

ნავაზაკები // ნავაზაკელი — ზმნისგან ივაზაკებს ან ავაზაკებს.

ნაასპარეზები // ნაასპარეზელი — ზმნისგან იასპარეზებს.

ნაბაასები // ნაბაასელი — ზმნისგან იბაასებს ან აბაასებს.

ნათაღლითები // ნათაღლითელი — ზმნისგან ითაღლითებს ან ათაღლითებს.

ნაკაპასები // ნაკაპასელი — ზმნისგან იკაპასებს ან აკაპასებს.

ნაკეკლუცები // ნაკეკლუცელი — ზმნისგან იკეკლუცებს ან აკეკლუცებს.

ნალაზღანდარები // ნალაზღანდარელი — ზმნისგან ილაზღანდარებს ან ალაზღანდარებს.

ნალაქლაქები // ნალაქლაქელი — ზმნისგან ილაქლაქებს ან ალაქლაქებს.

ნამსახურები // ნამსახურელი — ზმნისგან იმსახურებს ან ამსახურებს.

ნაქეიფები // ნაქეიფელი — ზმნისგან იქეიფებს ან აქეიფებს.

ნაღიღინები // ნაღიღინელი — ზმნისგან იღიღინებს ან აღიღინებს.

ნაცულლუტები // ნაცულლუტელი — ზმნისგან იცულლუტებს ან აცულლუტებს და სხვა.

ნა- — ევ აფიქსებიანი მიმღებობები გვხვდება ტოპონიმიკაშიც. მაგალითად:

ნაზიარევი — საძოვარი სოფ. ბრილში (აჭარა), **ნალაშქრევი** — სა-
ხნავი სოფ. კიბეში (აჭარა)⁵ და სხვა.

ნა- თავსართიან მიმღეობებთან დაკავშირებით კიდევ ერთი სა-
კითხი იქცევა ყურადღებას. ახალ ქართულში, განსაკუთრებით ბოლო
ხანებში, გავრცელდა მიმღეობის ტიპის ფორმები, რომლებიც ჰვენ მიერ
აქ განხილულ მიმღეობებს ჰგვანან როგორც სემანტიკურად და ფუნქ-
ცია-მნიშვნელობის მხრივ, ისევე წარმოების მხრივაც. სახელდობრ:
პრეფიქსად გამოყენებული აქვთ მიმღეობის **ნა-** თავსართი, ხოლო სუ-
ფიქსებად, სხვათა გვერდით, ისევე — **-ებ // -ევ** ბოლოსართებიც, ოღონდ
განსხვავება ისაა, რომ მიმღეობა ზმნისგან იწარმოება, მისთვის ამოსა-
ვალი ზმნის ფუძეა, აღნიშნული ტიპის სახელები კი წარმოებისას სა-
ხელთა ფუძეებს იყენებენ, სახელებისაგან იწარმოებიან.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ოპერაცია- ფუძისაგან იწარმოება **ნაოპერაციები // ნაოპერაციევი** (ვისაც ან რა-
საც ოპერაცია გაუკეთეს):

ნაოპერაციები ბავშვს ოფლისაგან უნდა შეეუშვრალათ სხეული (მ. კო-
კოჩ.).

ნაოპერაციევი ავადყოფნები ჩვენი დაკვირვების ქვეშ იყოფებოდნენ
6 თვიდან 2 წლამდე („საბჭ. მედ.“).

ღვინო- ფუძისაგან — **ნაღვინები // ნაღვინევი** (ღვინოდალეული, ღვინოსმული,
ვინც ღვინო დალია):

[იგი] გზირთან ერთად **ნაღვინები**, ვინ იცის საიდან მოდიოდა (მ. არაგვ.).

დედოფალთან შესვლა ვერ გავბედე, **ნაღვინევი** ვიყავი (ნ. ლორთქ.).

ჭრილობა- ფუძისაგან — **ნაჭრილობები // ნაჭრილობევი** (ის, ვისაც ან რასაც
ჭრილობა აქვს, ჭრილობიანი):

კვლავ გხედავთ ისეთს, როგორიც იყავით შინ: **ნაჭრილობები**, თავმოტე-
ლებილი, ხელებდამწვარი („ლიტ. გაზეთი“).

მამა 1944 წელს დაბრუნდა **ნაჭრილობევი** („გამარჯ.“)...

ა ს ე ვ ე :

იარა- ფუძისაგან — **ნაიარები // ნაიარევი** (ვისაც ან რასაც იარა ჰქონდა ან
აჩნია):

რამდენ ვრიგალს გადავურჩით, რა ქარბუქი გავიარეთ, სიხარული დაეუფლა
გულს ნაცრემლს და **ნაიარევის** (ა. თევზ.).

პურ-ღვინო- ფუძისაგან — **ნაპურღვინები // ნაპურღვინევი** (ვინც პურ-ღვინო
მიირთვა):

ეტყობოდათ... **ნაპურღვინევი** იყვნენ (ჭ. ლომთ.).

უცბად-ისგან — **ნაუცბადები // ნაუცბადევი** [ნაუცბათევი] (უცბად, ნაჩქარებად
გაკეთებული):

კრება **ნაუცბათევი** და მოუშვადებელი იყო („ახ. კომ.“).

ჩუმად / ჩუმათ-ზმნისართისგან — **ნაჩუმათები // ნაჩუმათევი** [ნაჩუმადები] (ჩუ-
მად, მალულად ნაკეთები):

⁵ მასალა მოგვყავს ი. სიხარულიძის დასახელებული წიგნიდან.

ერთ აფიცერს... ნ ა ჩ უ მ ა თ ე ვ ა დ ცოლი შეერთო (დ. კლდ.).

შაბაშ-ისგან — ნაშაბაშები // ნაშაბაშევი (მუშაობა დამთავრებული, დასვენებული):

გემზე ღმზვდა ნაშაბაშევი ქართველი მუშები (ნ. მიწ.).

ხმალ- ფუძისგან — ნახმლები//ნახმლევი (ის, ვისაც ან რასაც ხმალი მოხვედრია, ხმლით არის დაჭრილი):

ურდო ნახმლევი, ნალეწი დევგმირის მკლავთან სცივოლა (ი. აბაშ.)...

ზოგჯერ ამ ყალიბით ხელოვნური ფორმებიც კი კეთდება, რომელთაც ისევ მიმღეობის შინაარსი აქვთ. მაგალითად:

შეთქმულება-ფუძისგან — ნაშეთქმულები // ნაშეთქმულევი (ვინც შეთქმულებაში მონაწილეობდა, შეთქმულების მონაწილე):

ყველა ნაშეთქმულევეს თითქო რაღაც უჩხელიტეს (მ. ჯავახ.)...

ა ს ე ვ ე ა :

ამპუტაცია- ფუძისგან — ნაამპუტაციები // ნაამპუტაციევი (რასაც ამპუტაცია უყვეს).

ანგარება- ფუძისგან — ნაანგარები // ნაანგარევი (ანგარებით შექნილი).

მემკვიდრე- ფუძისგან — ნამემკვიდრები // ნამემკვიდრევი (მემკვიდრეობით მიღებული)

და ა. შ.

წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავსკვნათ:

მიმღეობებში, სადაც პარალელური -ებ // -ევ სუფიქსებიანი წარმოება გვაქვს, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ერთადერთ სწორ ფორმებად მხოლოდ -ებ სუფიქსიანები შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ძირეულ ზმნებში, საიდანაც ეს მიმღეობებია ნაწარმოები, სწორედ -ებ დაბოლოებაა. რაც შეეხება -ევ სუფიქსს, იგი აქ ვერავითარ ახსნას ვერ პოულობს და, ამდენად, მისი ხმარებაც გაუმართლებელია მიუხედავად იმისა, რომ -ევ სუფიქსიანი მიმღეობები ზოგჯერ ენაში რამდენადმე უფრო გავრცელებულიც კი არის.

ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა ზემოთ დასახელებულ ე. წ. მიმღეობის ტიპის სახელებში; აქაც, როგორც ვნახეთ, ნა- თავსართთან ერთად, მიმღეობათა მსგავსად, -ებ და -ევ სუფიქსებია გამოყენებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ორი განსხვავებული ფორმისგან ერთ-ერთისთვის უპირატესობის მინიჭება იმ წესით, როგორც ეს მიმღეობებთან იყო შესაძლებელი, ვერ მოხერხდება, რადგან არცერთ იმ სახელურ ფუძეში, საიდანაც დასახელებული მიმღეობის ტიპის სახელებია ნაწარმოები, არც -ებ და არც -ევ დაბოლოება არ არის. ჩანს, -ებ // -ევ სუფიქსები აქ მიმღეობათა ანალოგიითაა გაჩენილი.

აღნიშნული სახელები მიმღეობის ტიპის ფორმებია და ამგვარ შემთხვევაში -ებ სუფიქსი თითქოს უფრო გამართლებული ჩანს, როგორც მიმღეობის, უფრო ზუსტად, მისი ზმნური ფუძის, ორგანული ნაწილი, თუმცა -ევ სუფიქსიანი ფორმები ბევრ შემთხვევაში ხმარებულობის თვალსაზრისით გაბატონებული და ზოგჯერ ერთადერთიც კია.

-ებ სუფიქსიანი მიმღეობის ტიპის ფორმებს ის უპირატესობა აქვთ, რომ მათი გამოყენების შემთხვევაში ამ რიგის სახელები ისევე, როგორც -ებ-იანი მიმღეობები, გარჩეულია წინა ვითარების სახელებისაგან, რომლებიც სწორედ ნა—-ევ აფიქსებით არის ნაწარმოები. სახელდობრ:

ნაბანოები — ვინც იაბანოვა, ვინც იბანავა.

ნაბანოევი — ადგილი, სადაც უწინ აბანო იყო, ყოფილი აბანო.

ნავაზაკები — ავაზაკობით შექმნილი, ავაზაკობით მოპოვებული.

ნავაზაკევი — ყოფილი ავაზაკი, ავაზაკად ყოფილი.

ნამბორები — ვისაც ან რასაც ეამბორნენ.

ნამბორევი — ადგილი, რაზედაც ვისმე ან რასმე ეამბორნენ.

ნავაზირები — ნათათბირები, ნალაპარაკები, ნასაუბრები, ზმნისგან „ივაზირეს“: „მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნ ა ვ ა ზ ი რ ე ბ ი“ (ვეფხისტყაოსანი).

ნავაზირევი — ყოფილი ვაზირი, ვაზირად ყოფილი.

ნაიარები — ვისაც ან რასაც იარები ჰქონდა ან აქვს, დაჭრილი.

ნაიარევი — ადგილი, სადაც იარა ჰქონდათ.

ნაოპერაციები — ვისაც ან რასაც ოპერაცია გაუკეთდა.

ნაოპერაციევი — ადგილი, რაზედაც ოპერაცია გაუკეთდა.

ნასადილები, ნასაუზმები, ნავაზმები — ვინც ისადილა (სადილ-ნაჭამი), ვინც ისაუზმა (საუზმენაჭამი), ვინც ივაზშმა (ვაზშამნაჭამი).

ნასადილევი (ზმნს. ნასადილევს), ნასაუზმევი (ზმნს. ნასაუზმევს), ნავაზმევი (ზმნს. ნავაზმევს) — დრო სადილის, საუზმისა და ვაზშმის შემდეგ.

ნასახლები — დასახლებული, ვინც დასახლეს ან დასახლდა.

ნასახლევი — ადგილი, სადაც უწინ სახლი იყო, ან ყოფილი სახლი.

ნაქმარები // ნაქმრები — ვისაც ქმარი ჰყავდა (შდრ. ორნაქმარე-ბი, სამნაქმარები...); ქალი.

ნაქმარევი // ნაქმრევი — ყოფილი ქმარი, ქმრად ყოფილი: „ისევ ელის ნ ა ქ მ რ ე ვ ი ნაცოლარს“ (მ. ჯავახ.); მამაკაცი.

ნაცოლები — ვისაც ცოლი ჰყავდა; მამაკაცი.

ნაცოლვეი — ყოფილი ცოლი; ცოლად ყოფილი, ნაცოლარი; ქალი.

ნაყაჩაღები — ყაჩაღობით შეძენილი, ყაჩაღობით მოპოვებული.

ნაყაჩაღვეი — ყოფილი ყაჩაღი, ყაჩაღად ყოფილი, ნაყაჩაღარი.

ნაჭრილობები — ვისაც ან რასაც ჭრილობა აქვს ან ჰქონდა.

ნაჭრილობევი — ადგილი, სადაც ჭრილობა ჰქონდათ.

ნახმლები — ვისაც ან რასაც ხმალი მოხვედრია.

ნახმლვეი — ადგილი, რაზედაც ხმალი მოხვდათ.

ნაპატრონები — რასაც ან ვისაც უპატრონეს, მოვლილი, შენახული.

ნაპატრონვეი — ყოფილი პატრონი, პატრონად ყოფილი...

ასეთი ფორმები რომ ადვილად შეიძლება ერთმანეთში აირიოს, ამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

„... კუჭატნელი იმავე ალაგას ეგდო, სადაც სამი კვირის წინათ მისი ნაპატრონვეი არლოვი გაიქიმა“ (მ. ჯავახ.).

ჩანს, აღრევას კონტექსტიც კი ვერ შევლის და ამ წინადადებაში არ არის მთლად ნათელი, არლოვი კუჭატნელის ყოფილი პატრონი იყო, თუ, პირიქით, ეს უკანასკნელი პატრონობდა არლოვს.

ბოლოს, წინა ვითარების სახელების შესახებ. როგორც ცნობილია და აღნიშნულიც იყო, წინა ვითარების სახელთა საწარმოებელია ნა- — ევ აფიქსები და ამიტომ, ზემოთ დასახელებული -ებ ბოლოსართიანი ფორმების შესახებ შეიძლება კატეგორიულად ვთქვათ, რომ აქ უმართებულო წარმოებასთან გვაქვს საქმე და მათი ხმარება ამ შემთხვევაში გაუმართლებელია. ამასთან, ასეთი დარღვევები ენაში საერთოდ იშვიათია.

ნა- პრეფიქსიანი მიმღობებისა და წინა ვითარების სახელების ანალიზის შემდეგ თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ მიმღობებში უმართებულოდ გამოყენებული -ევ სუფიქსი სწორედ წინა ვითარების

6 თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ლიტერატურაში დამოწმებული ნა- — ევ აფიქსებიანი ყველა წინა ვითარების სახელი არ არის ლიტერატურულად უპირატესი ფორმა. სახელთა ზოგი ფუძისგან უფრო ბუნებრივია წინა ვითარების სახელების საწარმოებლად ნა- — არ აფიქსების გამოყენება. ლიტერატურული ენის თვალსაზრისით ბუნებრივი, მართებული და გაბატონებულია ნაწარმოები სახელები: ნასახლარი, ნასოფლარი, ნატუსალარი, ნაყაჩაღარი, ნაყვავილარი, ნაცოლარი და მისთ., ხოლო უკუსადგებია: ნასახლვეი, ნასოფლვეი, ნატუსაღვეი, ნაყაჩაღვეი, ნაყვავიღვეი, ნაცოლვეი და სხვა. ეს უკანასკნელები პირველთ სალიტერატურო ენაში მოცილებლას ვერ უწევენ.

სახელების საწარმოებელი ბოლოსართია, ხოლო წინა ვითარების სახელებში ნახმარი -ებ კი — მიმღობის ფორმებისგან მომდინარეობს.

რამ გამოიწვია სულ სხვადასხვა წარმოების ფორმებში წარმოშობითა და დანიშნულებით სრულიად განსხვავებული სუფიქსების ამგვარი აღრევა?

ამის ერთ-ერთი (და, შეიძლება, ერთადერთი) ძირითადი მიზეზი უნდა იყოს ენებითი გვარის ნამყო დროის ნა- პრეფიქსიანი მიმღობებისა და წინა ვითარების სახელების სემანტიკური სიახლოვე.

უპირველეს ყოვლისა ამ სიახლოვეს იწვევს ის გარემოება, რომ საერთოდ ნა- პრეფიქსიან მიმღობებს, -ილ და -ულ სუფიქსებიან მიმღობებთან შედარებით, უფრო არსებითი სახელის ნიშნები ახასიათებთ, ვიდრე ზმნისგან ნაწარმოები ზედსართავისა (შდრ. ნაწერი და დაწერილი, ნახნავი და მოხნული, ნაგები და აგებული, ნარღვევი და დარღვეული, ნახატი და დახატული და სხვა). ასეთი მიმღობები მეტწილად გასუბსტანტივებულია და წინადადებაში სუბიექტის ან ობიექტის ფუნქციით გვევლინებიან, წინააღმდეგ სუფიქსიანი მიმღობებისა, რომლებიც თითქმის ყოველთვის მხოლოდ ზედსართავების, მსაზღვრელების როლს ასრულებენ.

ცნობილია, რომ „მყოფადის მიმღობა შეიძლება ნიშნავდეს: მოქმედების საგანს და მოქმედების იარაღს: სათესი (ფართობი) = რაც უნდა დათესონ (დაითესონ); შდრ. სათესი (მანქანა) = რითაც უნდა დათესონ (დაითესონ)... ასევე: შესაკერავი (ბალტო) = რაც უნდა შეკერონ (შეიკერონ); შდრ. საკერავი (მანქანა) = რითაც უნდა შეკერონ (შეიკერონ)... გასალეწი (პური) „რაც უნდა გალეწონ (გაილეწონ)“ და სალეწი (მანქანა) = რითაც უნდა გალეწონ (გაილეწონ პურეული)“⁷.

როგორც მყოფადის მიმღობა იჩენს სიახლოვეს დანიშნულების სახელებთან, ასევე ახლოსაა შინაარსობრივად ნამყო დროის მიმღობები წინა ვითარების სახელებთან; ორივე წარსული დროისაა, ორივე გამოხატავს რაღაც სახის ყოფილობას.

ეს განსაკუთრებით ითქმის სწორედ ისეთ მიმღობებზე, რომლებშიც ზემოთ -ებ და -ევ სუფიქსების პარალელური ხმარება იქნა დადასტურებული.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ აღნიშნული ტიპის მიმღობები, ისევე როგორც მათი ძირეული ზმნები, ზმნისწინებს არ დაირთავენ და ამის გამო კიდევ ზედმეტად მოკლებულნი არიან ისეთ

⁷ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, გვ. 076.

ზმნურ ნიშნებს, როგორცაა მოქმედების მიმართულების აღნიშვნა და ასპექტი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ დასახელებული ტიპის ნა- თავსართიან მიმღეობებს პარალელური -ილ // -ულ სუფიქსიანი მიმღეობების ფორმები არ მოეპოვებათ; გვაქვს ნაშენები და აშენებული, ნაკეთები და გაკეთებული, ნაქები და ქებული, დანამზადები და დამზადებული, მაგრამ არა გვაქვს ნადირებული, თათბირებული, ლაპარაკებული და სხვა ნანადირების, ნათათბირების, ნალაპარაკების გვერდით.

ბოლოს, კიდევ ერთი შენიშვნაც.

შემჩნეულია, რომ ნა- პრეფიქსი ზოგჯერ არ არის საკმარისი მიმღეობის საწარმოებლად და ფორმას ბოლოში -არ სუფიქსი ერთვის პირდაპირ ფუძეზე (აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსის გარეშე): ნაჩუქარი... ნაუბარი...⁸

გარდა ამ მიმღეობებისა, -არ (დისიმილაციით -ალ) სუფიქსი არც თუ იშვიათად -ებ სუფიქსის პარალელურად იხმარება სხვა მიმღეობებშიც და იხმარება სწორედ ისეთ მიმღეობებსა და მიმღეობის ტიპის სახელებში, რომლებშიც -ებ და -ევ სუფიქსების პარალელური ხმარება დასტურდება. თუმცა, ბევრი მათგანი ლიტერატურული არც არის. მაგალითად:

ნაავადმყოფარი⁹, ნაავაზაკარი, ნალაფარი, ნალერსალი, ნანდერძალი, ნასპარეზალი, ნაგემარი, ნაეშმაკარი, ნავარაუდალი, ნავარჯიშალი, ნათათბირალი, ნათაკილარი, ნათალლითარი, ნაკამათარი, ნაკარნახალი, ნაკეკლუცარი, ნალაპარაკალი, ნალაქლაქარი, ნალაშქრალი, ნალოგინარი, ნამსახურალი, ნანადირალი, ნაოსტატარი, ნასადილარი, ნასარგებლარი, ნასაუზმარი, ნაფიქრალი, ნაფუსფუსარი, ნაქადაგარი, ნაქეიფარი, ნაქორწილარი, ნალაღატარი, ნალაღადარი, ნაშვილარი, ნაჩურჩულარი, ნაცოდვილარი, ნაცუღლუტარი, ნაწილადარი, ნაწინასწარმეტყველარი, ნაწყალობარი, ნაჯახირალი, ... ნააბანოვარი, ნააზრალი, ნაამაგარი, ნაამპუტაციარი, ნაარმალი, ნამემკვიდრალი, ნაოპერაციალი, ნაუკუღმართალი, ნაღვინარი, ნაჩუმათარი, ნაჭირნახულარი, ნაჭრილობარი, ნაჯაფარი და სხვა.

საიდან გაჩნდა ეს -არ ბოლოსართი ნა- პრეფიქსიან მიმღეობებსა და ამ ტიპის წარმონაქმნებში? იგი ისევ წინა ვითარების სახელების საწარმოებელი -არ სუფიქსი ჩანს.

ამავე მიზეზით აიხსნება ალბათ ის ფაქტიც, რომ ზემოთ დასახელებული, გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობები, რომელ-

⁸ ავ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, 1953, გვ. 594.

⁹ -ებ // -ევ სუფიქსიანი ფორმების შესახებ იხილეთ ზემოთ.

თაც მუდამ მხოლოდ -ებ სუფიქსი აქვთ, -არ სუფიქსს ვერ იგუებენ. ასეთებია: ნაბარები, ნაგები, ნაგინები, ნაგირავეები, ნადები, ნაკრები, ნანთები, ნარგები, ნარგუნები, ნატარები, ნაჩვენები, ნაციები, ნაცხები, ნაწები... შეუძლებელია ფორმები: ნაგროვალი, ნაკეთარი, ნამზადარი, ნანიშნარი, ნარწმუნალი, ნასავსავარი, ნასწორალი, ნაფეთქარი, ნაქეზარი, ნაშენარი, ნაწამარი, ნახრჩოლარი, ნახსენარი და ა. შ.

თუ როდის მოხდა ენაში მიმღეობებისა და წინა ვითარების სახელების ამგვარი აღრევა, ამის თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსანში“ ეს პროცესი უკვე თვალნათლივ ჩანს. მაგალითად, ერთი მხრით გვაქვს:

„მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი“... ხოლო მეორე მხრით:

„აწ გაუსრულა ყოველი მან მისი ნაერთგულევი“.

ამრიგად, ვნებითი გვარის ნამყო დროის ნა-პრეფიქსიანი მიმღეობები და წინა ვითარების სახელები სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს მდგომი ჩანან და ამის გამო მათი საწარმოებელი -ებ და -ევ სუფიქსების აღრევა ხდება გარკვეულ შემთხვევებში.

ეს ორი წარმოება უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან და ენაში არსებულ პარალელურ ფორმათაგან სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მართებული დამკვიდრდეს; სახელდობრ, მიმღეობებსა და მიმღეობის ტიპის ფორმებში, სადაც კი შესაძლებელია, უნდა იხმარებოდეს -ებ სუფიქსი, ხოლო წინა ვითარების სახელებში. — ევ ბოლოსართი.

ამის მიხედვით გვექნება, ერთი მხრით, მიმღეობები: ნანგარიშები, ნავარჯიშები, ნათათბირები, ნათამაშები, ნალაპარაკები, ნანადირები, ნასაუშები, ნაწვადები, ნაპატრონები, ნაეშმაკები, ნამკურნალები, ნასადილები, ნაჩუჩულები და სხვა, ხოლო, მეორე მხრით. — წინა ვითარების სახელები: ნაკვალევი, ნამახვილევი, ნამდინარევი, ნატაძრევი, ნაქმრევი, ნაყანევი, ნაყმევი, ნაჭრილობევი, ნახმლევი და ა. შ.

გამონაკლისის სახით, გავრცელებულობისა და ხშირად ხმარების გამო, შეიძლება ენაში -ებ დაბოლოებიან ფორმათა გვერდით პარალელურ ფორმებად დარჩეს მიმღეობის -ევ დაბოლოებიანი ზოგი ფორმაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ წარმოების მიხედვით გამართლება არა აქვთ. ასეთებია: ნააზრევი, ნაანდერძევი, ნაგულისხმევი, ნავარაუდევი, ნაკარნახევი, ნაყალბევი, ნაძალადევი...